

განმარტებითი ბარათი

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე” საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების საჭიროება განპირობებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტით, რომლის მიხედვითაც, სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლი უნდა განახორციელოს საქართველოს მთავრობამ, ვინაიდან სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ საქმიანობის სპეციფიურობიდან გამომდინარე, მიზანშეუწონელია ეს ფუნქცია ჰქონდეს რომელიმე კონკრეტულ სამინისტროს.

შესაბამისად, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის შემთხვევაც, როდესაც საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება შეეძლება არა მხოლოდ სამინისტროს ან საქართველოს პრეზიდენტის უშუალო დაქვემდებარებაში არსებულმა აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებას, არამედ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – მაგალითად საქართველოს მთავრობასაც.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტი მიზნად ისახავს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტში გათვალისწინდეს ისეთი განსაკუთრებული შემთხვევებიც როდესაც, მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, ამათუიმ კანონით შესაძლებელი იქნება საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლი განხორციელოს საქართველოს მთავრობამ და არა რომელიმე კონკრეტულმა სამინისტრომ.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის არსი მდგომარეობს შემდეგში: „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტს ემატება სიტყვები „თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“, რაც გულისხმობს იმას, რომ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება შეეძლება არამხოლოდ სამინისტროს და საქართველოს პრეზიდენტის უშუალო დაქვემდებარებაში არსებულ აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებას, არამედ საქართველოს მთავრობასაც.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ მოითხოვს ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე
კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები
კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსათვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის მიღება არ გააუარესებს სხვა პირთა მდგომარეობას

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი ოდენობის განსაზღვრას და შესაბამისად არ ადგენს მის განსაზღვრის წესს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

კანონპროექტი მომზადდა უშუალოდ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ

კანონპროექტი არ ყოფილა წარდგენილი დამოუკიდებელი ექსპერტებისათვის.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

დ.დ.) კანონპროექტის ინიციატორი.

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.